<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---მაისი 2023 წელი

ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ნაძვების ქუჩის მონაკვეთისთვის ნაძვების I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ვაკის რაიონში, ნაძვების ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს ნაძვების I შესახვევის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

X:476074 Y:4617035
X:476129 Y:4616942
ნაძვების I შეს.
X:476313 Y:4616853
X:476405 Y:4616886
N
1:1,500

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

KA011728645157923

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405

 # 11652 **20 / იანვარი / 2023 წ.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას

მოგახსენებთ, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში - "სააგენტოს") წარედგინა დაინტერესებული პირების განცხადებები ქალაქ თბილისში, წყნეთი, ნაძვების ქუჩის მიმდებარედ არსებულ უძრავ ნივთებზე ნუმერაციის მინიჭებისა და მისამართების დაზუსტების მოთხოვნით, კერძოდ, განცხადებები:

1) განცხადება M23000561, 13.01.2023 (უძრავი ნივთი საკადასტრო კოდით 01.20.01.117.190);
2) განცხადება M23000598, 16.01.2023 (უძრავი ნივთის საკადასტრო კოდით 01.20.01.010.083);
3) განცხადება M23000751, 17.01.2023 (უძრავი ნივთის საკადასტრო კოდით 01.20.01.010.398);
4) განცხადება M23000861, 18.01.2023 (უძრავი ნივთის საკადასტრო კოდით 01.20.01.010.093).

საქმისათვის არსებითი გარემოებების შესწავლისას დადგინდა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2022 წლის 9 აგვისტოს 420 განკარგულების საფუძველზე ვაკის რაიონში, წყნეთში, ნუშის ბაღების ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭა ნაძვების სახელი განკარგულების თანდართული რუკის შესაბამისად.

შეგახსენებთ, რომ უძრავი ნივთებისთვის ნუმერაციის მინიჭებისას სააგენტო ხელმძღვანელობს "საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონისა და და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის № 487 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციით დადგენილი წესებით, რომლის თანახმად ნუმერაცია იწყება დასახლების ცენტრიდან და თანმიმდევრობით გრძელდება გარეუბნების (პერიფერიების) მიმართულებით. დასახლების ცენტრიდან ქუჩის, ჩიხის, შესახვევის მარჯვენა მხარეს არსებულ ობიექტებს ენიჭებათ კენტი ციფრი, ხოლო მარცხენა მხარეს - ლუწი ციფრი.

გაცნობებთ, რომ M23000561, M23000598, M23000751 და M23000861 განცხადებების განხილვისას, დადგენილ იქნა, რომ ნაძვების ქუჩის მიმდებარედ არსებული უძრავი ნივთებისთვის, თავად ამ ქუჩის გეოგრაფიული მოხაზულობის, განფენილობის გათვალისწინებით, ზემოხსენებული სამართლებრივი აქტებით დადგენილი პრინციპების დაცვით (ცენტრიდან პერიფერიის მიმართულებით ლოგიკური თანმიმდევრობა) ნუმერაციის მინიჭება შეუძლებელია, ვინაიდან 2022 წლის 9 აგვისტოს 420 განკარგულების საფუძველზე სახელდებულ ნაძვების ქუჩას არ აქვს ქუჩისათვის აუცილებელი ძირითადი მახასიათებელი - ერთი დასაწყისი და ერთი დასასრული წერტილი, ცენტრიდან პერიფერიის მიმართულებით ქუჩა იყოფა სხვადასხვა მიმართულების განტოტებებად და აქვს ერთგვარი ქსელური ხასიათი (იხ. დანართი №1).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოგმართავთ შუამდგომლობით შეაფასოთ შესაბამისი ტერიტორია, ქუჩის არსებული მოხაზულობა და იმსჯელოთ სახელდებული გეოგრაფიული ობიექტის დაყოფის (ცვლილების) შესაძლებლობაზე.

ამასთან, მოგახსენებთ, რომ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას M23000561, M23000598, M23000751 და M23000861 განცხადებებთან დაკავშირებით უზრუნველყოს ადმინისტრაციული წარმოების დასრულება.

დანართი: 01 (ერთი) გვერდი.

პატივისცემით,

სამისამართო დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნინო ბახია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032305383**
თარიღი: **22/02/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას 2023 წლის 23 იანვრის საქმე #06-03230233-03 დაკავშირებით.
კომისიის მიერ ინტერაქტიული რუკის მეშვეობით შესწავლილი იქნა უსახელო გეოგრაფიული ობიექტის მდებარეობა და მის მიმდებარედ სახელდებული ქუჩები.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და ნაძვების ქუჩის მონაკვეთის შესახვევად ფორმირების მიზნით გამოგვიგზავნოთ სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 3 (სამი) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-0123069992**
თარიღი: **10/03/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქ-ნ ნინო ვარდოსანიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო ნინო,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 22.02.2023 წლის #03-032305383 (22.02.2023 წ. #14-01230532880-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი